



საჯარო სამართლის იურიდიული პირის სასწავლო უნივერსიტეტი -
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება №02/

ქ.ბათუმი

10.09. 2015 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. ერთი მხრივ, სსიპ „ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“ წარმოდგენილი მისი რექტორის ირაკლი შარაბიძის სახით (შემდგომში – „აკადემია“ ან „დამსაქმებელი“) და მეორე მხრივ ----- (პირადი №----- მცხოვრები -----) (შემდგომში – „დასაქმებული“), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის ანაზღაურების სანაცვლოდ სამუშაოს შესრულების შესახებ.

2. მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში დასაქმებული საათობრივი ანაზღაურების წესით ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას მასწავლებლის თანამდებობაზე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე. საათობრივი დატვირთვა განესაზღვროს - საათის ოდენობით

3. ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის ----- და მისი მოქმედების ვადა გრძელდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 2. დამსაქმებლის უფლება-მოვალეობანი

1. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს აკადემიის წესდების, შინაგანაწესისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულება;

ბ) დააზუსტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რამაც არსებითად არ უნდა შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

გ) კანონმდებლობის ფარგლებში წახალისოს დასაქმებული ან პირიქით, აკადემიის შინაგანაწესისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში გაატაროს მის მიმართ შესაბამისი სანქციები;

დ) დაუქვითოს დასაქმებულს არასაპატიო მიზეზით გაცდენილი სააუდიტორო საათების ღირებულება, ხოლო არასაპატიო მიზეზით სისტემატიური გაცდენების შემთხვევაში გააუქმოს მასთან კოტრაქტი;

2. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) შეუქმნას დასაქმებულს სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის შესაფერისი სამუშაო პირობები;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურება;

გ) უზრუნველყოს დასაქმებულის მიერ აკადემიის შინაგანაწესის დისციპლინური პასუხისმგებლობის დებულებისა და ეთიკის კოდექსის გაცნობა (შიდა ნორმატიული დოკუმენტები განთავსებულია აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.bsma.edu.ge) (სენატის 05.09.2014 წ. N6/2 გადაწყვეტილება);

მუხლი 3. დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები

1. დასაქმებულს უფლება აქვს:

ა) სამუშაოს შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა;



ბ) მოითხოვოს და მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ოდენობით შრომის ანაზღაურება;

გ) ისარგებლოს დასვენებისა და უქმე დღეებით. საჭიროების შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია დასვენების ან უქმე დღეების გამოყენება სამუშაოსათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების ფარგლებში.

2. დასაქმებული ვალდებულია:

ა) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, დასაქმებულის ნორმატიული აქტებით, აკადემიის შინაგანაწესითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, დაიცვას აკადემიაში მიღებული ეთიკის ნორმები;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესის წარმართვაში და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში;

გ) შეასრულოს აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის ნორმატივებით განსაზღვრული სააუდიტორიო და არასააუდიტორიო სამუშაო;

დ) გაუფრთხილდეს მისთვის დამსაქმებლის მიერ დროებით სარგებლობაში გადაცემულ სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო მატერიალურ ფასეულობებს;

ე) თავისი ფუნქციონალური მოვალეობების შესრულების დროს იხელმძღვანელოს აკადემიაში მოქმედი შიდა ნორმატიული დოკუმენტებით და მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქციით.

ვ) მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტთა ნაშრომების გასწორება/შეფასება კონტრაქტით გათვალისწინებული ანაზღაურების ფარგლებში (სენატის 05.09.2014 წ. N6/2 გადაწყვეტილება).

ზ) მასწავლებელი ვალდებულია დროულად და სრულყოფილად აწარმოოს ელექტრონული ჟურნალი.

მუხლი 4. შრომის ანაზღაურება

1. დამსაქმებელი დასაქმებულს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის გაუწევს შრომის ანაზღაურებას ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული ცხრილის შესაბამისად, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2015 წლის 07 აპრილის N5/3 გადაწყვეტილების საფუძველზე, (ხელმისაწვდომია საზღვაო აკადემიის ვებ გვერდზე www.bsma.edu.ge) საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით (სენატის 2015 წლის 24 აგვისტოს N8/5 გადაწყვეტილება).

2. შრომის ანაზღაურება განხორციელდება მომდევნო თვის 10 რიცხვამდე, დასაქმებულის მიერ წინასწარ სპეციალური უწყისის შევსების საფუძველზე.

3. მხარეთა შეთანხმებით შრომის ანაზღაურება შესაძლებელია განხორციელდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტისაგან განსხვავებულ ვადაში (სემესტრის ან კონტრაქტის ვადის ამოწურვისას ერთიანად).

მუხლი 5. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველები

1. წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა. მასწავლებლის მიერ 1 (ერთი) თვით ადრე გაკეთებული პირადი განცხადებით;

ბ. მასწავლებლის შრომისუუნარობის ან გარდაცვალების დროს;

გ. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას;

დ. აკადემიაში მოქმედი შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისას;

ე. დასაქმებულის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული სასწავლო დისციპლინის აღწერილობაში – სილაბუსში დადგენილი მიზნების შეუსრულებლობა;

ვ. ფაკულტეტისა და აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ ჩატარებულ სასწავლო პროცესისა და პროფესორ მასწავლებელთა მუშაობის პერიოდულ შეფასებებში დასაქმებულის მუშაობის არაადამაკმაყოფილებლად შეფასება;

ზ. დასაქმებულის მიერ სასწავლო პროცესის მოთხოვნების (მეცადინეობებისა და შეფასებების ცხრილის შესაბამისად ჩატარება) სისტემატიური დარღვევა;

ND 2-O05-04

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 4

რევიზიის თარიღი 24.08.2015

მოქმედებაშია: 01.08.2012



თ. სტუდენტის ნაშრომის ან ცოდნის არაობიექტური შეფასება.

6. დასკვნითი დებულებები

1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
2. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულების ცალკეული პუნქტები.
3. მხარეთა შორის წამოქმნილი ყველა სახის უთანხმოება თუ ვერ გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით დავის წარმოშობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, დავა გადასაწყვეტად გადაეცემა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა რეკვიზიტები

“დამსაქმებელი“
სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია „

რექტორი

----- ირაკლი შარაბიძე

მისამართი: ბათუმი 6010,
რუსთაველის გამზ. 53;
Website: www.bsma.edu.ge;
E-mail: info.mf@bsma.edu.ge;
ტელ./ფაქსი: 27 48 50.

„დასაქმებული“

პირადი ნომერი № -

პირადობის მოწმ. ნომერი №-

მისამართი: -

ტელ: -